

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N348

ერთის მხრივ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი თავმჯდომარის თინათინ ზომის სახით და მეორეს მხრივ შპს „ქეი ენ ედვენჩერი“, წარმოდგენილი დირექტორის იასონ ბახტურაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად (სატენდერო განცხადება NAT190024319, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 63110000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

- 1.1. შესყიდვის ობიექტი: ტვირთის გადაზიდვის მომსახურებები დანართი N1-ის შესაბამისად.
- 1.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართ N1-ში), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 39444 (ოცდაცხრამეტი ათას ოთხას ორმოცდაოთხი) ლარს.
- 1.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- 1.5. მომსახურების ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ტვირთის განბაჟებისა და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. გადაზიდვის პირობაა ტვირთის კარიდან კარამდე (door to door) მიწოდება.
- 1.6. დანართი N1-ში მითითებული მისამართები შესაძლებელია დაზუსტდეს, რის შესახებაც ეცნობება მიმწოდებელს ტვირთის გადატანამდე.
- 1.7. შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არ მოხდეს დანართი N1-ში მითითებულ რომელიმე ქვეყანაში, მითითებულ გამოფენებზე, ტვირთის გადატანის მოთხოვნა, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება მიმწოდებელს და არ ჩაითვლება შეუსრულებლად.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

- 2.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.
- 2.2. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები:

- 4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, დანართში მითითებული ვადების შესაბამისად, შემსყიდველთან შეთანხმებით.
- 4.2. მიმწოდებელმა ტვირთის წაღება უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის ოფისიდან (ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86. აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი) და გამოფენის ადგილზე მიწოდება უნდა განახორციელოს გამოფენის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) დღით ადრე შემსყიდველის საპრეზენტაციო სტენდზე. გამოფენის მისამართი და სტენდის ნომერი დაზუსტდება ტვირთის გაგზავნის დროს.
- 4.3. მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, დანართში მითითებული ადგილების შესაბამისად, შემსყიდველთან შეთანხმებით.

4.4. მიმწოდებელს გასაგზავნი ტვირთის წაღება შემსყიდველის ოფისიდან შეუძლია როგორც ეტაპობრივად, ასევე ერთობლივად, შემსყიდველთან შეთანხმებით.

4.5. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 4.2. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო და ტვირთი დააბრუნოს შემსყიდველის ოფისში (ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86. აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი) ან შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.

5. მომსახურების მიღება—ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება—ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, გაწეული მომსახურების შესაბამისად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერი პირია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე თინათინ ზოიძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

6.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4. დაფინანსების წყარო 2020 წლის ბიუჯეტი.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. ქვეკონტრაქტორი

8.1. ქვეკონტრაქტორის დასაშვებობის საკითხი არ განიხილება.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. თუ მიმწოდებლის მხრიდან სახეზეა მომსახურების არაჯეროვანი შესრულება, ტვირთის დანიშნულების ადგილას ვადაგადაცილებით მიწოდება ან ხელშეკრულების პირობების სხვაგვარად

შეუსრულებლობა, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%- ის ოდენობით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	შპს ქეი ენ ედვენჩერი
საიდენტიფიკაციო კოდი - 245427809	საიდენტიფიკაციო კოდი -406118794
ტელ: (+995) (422) 27 50 23	ტელ:+99577286131
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #84/86	მისამართი: ქ. თბილისი
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
	საქართველოს ბანკი
	ა/ნ GE14BG0000000816778000
დეპარტამენტის თავმჯდომარე	დირექტორი
თინათინ ზოიძე	იასონ ბახტურიძე

ხარჯთაღრიცხვა - დანართი N1

№	გამოფენის დასახელება	გამოფენის დაწყების და დასრულების თარიღი	გადასაზიდი ტვირთის ჩამონათვალი	წონა (კგ)	მისამართი	გასაწევი მომსახურების ფასი
1	vakantiebeurs, ჰოლანდია, უტრეხტი	16-19 იანვარი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კგ	Address Jaarbeurs Jaarbeursplein 6 NL-3521 AL Utrecht Postal address Jaarbeurs: P.O. Box 8500 NL-3503 RM Utrecht	1500
2	MATKA ჰელსინკი, ფინეთი	17-19 იანვარი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კგ	Southern entrance Messuaukio 1, 00520 Helsinki, Finland	1500
3	FITUR, მადრიდი, ესპანეთი	22 -26 იანვარი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	50 კგ	Av. Partenón, 5, 28042 Madrid, Spain	1400
4	ADVENTURE ვილნიუსი, ლიეტუვა	24-26 იანვარი	საიმიჯო ბროშურები, სასაჩუქრე მასალა, რუკები, ჩანთები	80 კგ	JSC Lithuanian Exhibition And Congress Centre LITEXPO Address: Laisves ave. 5, LT- 04215 Vilnius	1500

5	Baltour, რიგა, ლატვია	31 იანვარი-2 თებერვალი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კვ	Kipsala International Exhibition Centre, Kipsalas iela 8, Riga LV-1048, Latvia	1500
6	EMITT, სტამბული, თურქეთი	30 იანვარი-2 თებერვალი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კვ	Tüyap Fair Convention and Congress Center Istanbul, Turkey ; No:25, 34126, Tiyatro Cd., 34130 Fatih/İstanbul, Turkey	1500
7	IMTM, თელავი, ისრაელი	11-12 თებერვალი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კვ	Pavilion 2, TLV Convention Center Rokach Blvd 101 Tel Aviv 6121002	1500
8	Danish Travel show ჰერნინგი დანია	21-23 თებერვალი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კვ	MCH Messecenter Herning Vardevej 1 7400 Herning Denmark	1500
9	TOUREST ტალინი, ესტონეთი	07-09 თებერვალი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კვ	Pirita tee 28, 10127 Tallinn, Estonia	1500
10	Travel Budapest ბუდაპეშტი, უნგრეთი	27 თებ-01 მარტი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კვ	Адрес: Budapest, Albertirsai út 10, 1101 Венгрия	1500
11	MTT Wroclaw ვროცლავი, პოლონეთი	28 თებერვალი - 01 მარტი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	60 კვ	MTT Sp. z o.o. ul. Leszczyńskiego 4/25 50-078 Wrocław NIP 897 177 89 53	1400
12	ITB, ბერლინი, გერმანია	4-8 მარტი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კვ	Address exhibition grounds Berlin ExpoCenter City: Messedamm 22, 14055 Berlin	1500
13	CTF თბილისი, საქართველო	13 -14 მარტი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კვ	თბილისი, აკაკი წერეთლის ქუჩა N118	1500
14	UIIT, კიევი, უკრაინა	25 - 27 მარტი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კვ	International Exhibition Centre (IEC) Address: 15, Brovarskiy Avenue, Kyiv, Ukraine	1500
15	Globalnie კატოვიცე, პოლონეთი	27 -29 მარტი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	60 კვ	rma w: Katowice 2.72.7 z 5 gwiazdek. SpołecznośćZobacz wszystko Highlights info row image 2128 osób lubi to Highlights info	1400

					row image 2197 użytkowników obserwuje to InformacjeZobacz wszystkie Highlights info row image Międzynarodowe Centrum Kongresowe, Plac Sławika i Antalla 1 (1984,50 km) 40-166 Katowice	
16	AITF, ბაქო, აზერბაიჯანი	9-11 აპრილი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კბ	Baku Expo Exhibition and Convention Center Address: 515, H. Aliyev ave., Surakhani district, AZ1050, Baku, Azerbaijan	1500
17	Leisure, მინსკი, ბელორუსი	02-04 აპრილი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კბ	Адрес: пр-т. Победителей 14, Минск, Беларусь	1500
18	KITF, ალმატა, ყაზახეთი	14-16 აპრილი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კბ	Almaty, Kazakhstan; "Atakent" IEC 42, Timiryazev str.	1500
19	ATM, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები	19-22 აპრილი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	80 კბ	Dubai International Exhibition and Convention Centre Dubai World Trade Centre; Sheikh Zayed Road; Dubai; UAE	1500
20	IMEX გერმანია, ქ. ფრანკფურტი	12-14 მაისი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	50 კბ	Messe Frankfurt Ludwig-Erhard- Anlage 1 60327 Frankfurt Germany	1400
21	ITB China, შანხაი, ჩინეთი	13-15 მაისი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	60 კბ	China Shanghai World Expo Exhibition and Convention Center Hall 1; 850 Bocheng Rd; 200126 Pudong Shanghai, China	1400
22	Top Resa, პარიზი, საფრანგეთი	22-25 სექტემბერი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	60 კბ	1 Place de la Porte de Versailles, 75015 Paris, France	1400
23	PTAK, world travel show ვარშავა, პოლონეთი	23-25 ოქტომბერი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	60 კბ	Ptak Warsaw Expo; Al. Katowicka 62 05-830 Nadarzyn, mazowieckie, Poland Phone: +48 22 122 02 87	1400

24	JATA ,ოკინავა, იაპონია	29 ოქტომბერი- 1 ნოემბერი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	60 კბ	Okinawa Convention Center and Surrounding Facilities; 4 Chome 3 -1 Mahiki, Ginovan, Okinawa 901-2224, Japan	1400
25	TITF ტაშკენტი, უზბეკეთი	ნოემბერი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	70 კბ	pin Uzexpocentre ул. Амира Темура, 107, 100084 Tashkent, Uzbekistan	1444
26	WTM, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი	2-4 ნოემბერი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	50 კბ	ExCeL London 1 Western Gateway, Royal Victoria Dock London Docklands, E16 1XL	1400
27	IBTM ესპანეთი, ქ. ბარსელონა	1-3 დეკემბერი	საქართველოს საიმიჯო ბეჭდური და სასაჩუქრე მასალა	50 კბ	Fira Barcelona Gran Via Av. Joan Carles I, 64, 08908 L'Hospitalet de Llobregat, Barcelona, Spain	1400
სულ ფასი:						39444